



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003941

„ 16 “ ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭიფურეზო დანესუნუიება - ვახემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამკვეში ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიოდანაძის ქ. 11

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „მუდუც სექტოლოჯი“ (სსკო 4384590)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი,

ოქ. მს. ქ. თბილისი; ივ. ჯვახიძის ქ. 114; დიუქოხი

პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში - იურიდიული;

პრინციპის 2019 წლის 26 ივლისის № 2-714 ბიძანებოთ ვუტეზი

ვახემოსდაცვითი დანესუნუიება (დასკვა № 74, 29.12.2015)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ № 003941

ადმინისტრაციული მიწერილობის დანახი № 1

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: გახუმოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის
მუ-7 ნაწილის და საქართველოს გახუმოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
(დავლების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)
სახელმწიფო საჭიფრეებო დანესუბუდებ- გახუმოს დაცვით ზედმედვადობის დანესუბუდების მიერ
სახელმწიფო კონსტრუქციის განსოხუიფებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის
N61 დღვინიფების მუ-10 მუხლის მუ-8 და მუ-9 პუნქტების იმ ქვესუბუქტის სუფუდებზე ვზოლუბა
საქმონობის განსოხუიფებებს უფიფა საკადსუხო კოდი: 81.10.17.934 განსახდუხუც სასოფლო
სატუხუნო დნოხუნუფების მიწის ნაფვიფზე

თან ერთვის დანართი: 2 ვუხუილი
(დანართის N, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:
ადმინისტრაციული სამსახურდუფუფა კოდიქის 84-ე მუხლის 3' ნაწილის შესაბამისად
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გახუმოს დაცვით ზედმედვადობის დანესუბუდების
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
უფიფისის ქოადვოდ- მთავრობის სახელმწიფო ინსუტუქციის დედი კოხკოყაძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხკოყაძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (იფსეზა პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):
იფსეზა ვოსციტი
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 16 ოქტომბრის №003941 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 მაისის №DES 8 23 00000157 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს (ს/კ 404384590) ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №2-714 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 29 დეკემბრის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს კუთვნილ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 81.10.17.934, GPS კოორდინატები: 1. X-502000, Y-4621061; 2. X-501985, Y-4621061; 3. X-501998, Y-4621111; 4. X-502008, Y-4621104) განხორციელებულია მიწის სამუშაოები და ტერიტორია გამოიყენება არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის (არამიზნობრივად).

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის, 51²-ე და 53²-ე მუხლების, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081225 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 8 ნოემბრის № 4/603-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, 51²-ე და 53²-ე მუხლებით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დადგენილება, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიერ, გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2024 წლის 24 იანვრის №4/ა-1674-23 დადგენილებით, არ დააკმაყოფილა კომპანიის საჩივარი და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2023 წლის 8 ნოემბრის №4/603-23 დადგენილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

„მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი

2024 წლის 16 ოქტომბრის №003941 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 ოქტომბრის №003941 ადმინისტრაციული მიწერილობა.



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004020

„ 16 “ თქვეთბუთი 2024 წ.

ქ. თბილსი

(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - ჯიუბოსდცვიო ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამკემი ორგანოს დასახელება, ოურიდიული მისამართი)

ქ. თბილსი ვ. ნიოდანაძის ქუჩა №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „მედიკალ დეტალიზა“ (ს/ს 404384590)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი,

ოუხ. მს. ქ. თბილსი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა №4; დიხეჭქოიხი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; ოურიდიული პირის შემთხვევაში - ოურიდ

პინისქების 2019 წლის 26 ივლისის №2-714 შიხანებოთ ვუცდუი

ჯიუბოსდცვიო ვადწუვეიდიება. (დასკვა №74; 29.12.2015)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: ახიდიო №004020

ადმინისტრაციული მიწერილობის დასახელება

(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: შპს „ბელჯი კონსტრუქცი“ ვადებული ადმინისტრაციული
შიჩქოვების ჩახსენებანი მის განხორციელების იმ სახეობების ჩახსენების მიზნით,
(დავლების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)
ხომდებოც მის მისი განხორციელებული/გადადისწინებული გახდომის შემთხვევების შესახებ
ანგარიში. და გახდომის დროს გადაწყვეტილებები აღნიშნულიდან გამომდინარე
ადმინისტრაციული შიჩქოვების ჩახსენებანი მისთვის 1 (ერთი) თვის ვადით,
ინსპექციის მისი გამოდგინების დროის ვადის განხორციელების შემთხვევაში და საქართველოს
გახდომის დროს და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესაბამისად ჩახსენების
კომპანის ჩახსენების მიზნით ვადა

თან ერთად დანართი: 2 ცხელი
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დასმევა)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შესრულებლობის შემთხვევაში:

ჩახსენების მიზნით კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 46-ე მუხლის
(კანონის მუხლები, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)
პირველი ნაწილის შესაბამისად, ასევე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის
შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გახდომის დროს შემთხვევების დასაწყისის
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
ფაქტის მოადგილე-მთავარი სახდომის ინსპექციის დეი კოსტოპოტი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსტოპოტი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანჯივა ვოსკი
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 16 ოქტომბრის №004020 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 მაისის №DES 8 23 00000157 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს (ს/კ 404384590) კუთვნილი, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №2-714 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 29 დეკემბრის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

ინსპექტირების დაწყებისას (2023 წლის 19 მაისი) შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს არ ჰქონდა შემუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმა და საქმიანობას ახორციელებდა ნარჩენების მართვის გეგმის გარეშე. ამასთან, კომპანიის 2023-2025 წლების ნარჩენების მართვის გეგმა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმდა 2023 წლის 22 ივნისის №4942/01 წერილით.

ამასთან, დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ სამინისტროს 2023 წლის 22 ივნისის №4942/01 წერილით შეთანხმებულ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს ნარჩენების მართვის გეგმაში მოცემულია კომპანიის მიერ მიღებული ნარჩენების ის სახეობები (კოდები: 080317*, 160216, 200121*, 160506*, 160601*, 170505*), რომლებიც არ არის განხილული და ასახული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კომპანიას გზშ ანგარიშით და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით არ გააჩნია ზემოთაღნიშნულ ნარჩენების მიღების და ინსინერაციის უფლება, სამინისტროს 2023 წლის 22 ივნისის №4942/01 წერილით შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, ექვემდებარება ცვლილებას და ხელახალ შეთანხმებას.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^ბ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 79^ვ მუხლის პირველი ნაწილის, 51²-ე და 53²-ე მუხლების, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081225 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 8 ნოემბრის № 4/603-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, 79^ბ მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, 79^ვ მუხლის პირველი ნაწილით, 51²-ე და 53²-ე მუხლებით და

2024 წლის 16 ოქტომბრის №004020 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული დადგენილება, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიერ, გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2024 წლის 24 იანვრის №4/ა-1674-23 დადგენილებით, არ დააკმაყოფილა კომპანიის საჩივარი და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2023 წლის 8 ნოემბრის №4/603-23 დადგენილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 ოქტომბრის №004020 ადმინისტრაციული მიწერილობა.



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003944

„ 16 “ თებერვალი 2024 წ.

ქ. თბილისი _____
(შეღებვის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჭურჭეშო დანესტრუქტურა - ვიუმოსდევითი სოციალურდევითობის ლეკსდუმენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი ვ. ნიძრეძლის ქ. № 11

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „მედიკალ ტექნოლოჯი“ (ს/ს 404384590)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი)

ოქ. მს.: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. № 4; დიეტელოხი
(საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში - იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)

მინისტრის 2019 წლის 26 ივნისის № 2-714 ბრძანებით ვადადები

ვიუმოსდევითი ვადანუვრეფიება (დასკვნა № 74) 29.12.2015)

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ № 003944

დამნიჭდევითი მინისტრდობის დანახი № 1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №003944 ადმინისტრაციული პრეტენზიის განხილვის

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 10 ფურცლი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამსახურის დეპარტამენტის 79^წ მუხის უნიტის პირველი
ნაწილის და 79^წ მუხის შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: ვაჟა მარტვილი დეპარტამენტის უნიტის
მუხის პირველი - მთავარი სესიონერი იმპლემენტის ნაწილის უნიტის

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ვ. მარტვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

ივანე მარტვილი

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 19 მაისის №DES 8 23 00000157 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს (ს/კ 404384590) კუთვნილი, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №2-714 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 29 დეკემბრის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. შპს „მედიკალ ტექნოლოგი“, 2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის **პირველი პირობის** შესაბამისად, არ ახორციელებს საქმიანობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად, კერძოდ:

1.1. შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს კუთვნილ საწარმოში არ არის დამონტაჟებული, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული ერთი და იგივე მახასიათებლების მქონე 2 ინსინერატორი. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ **პირველი (I) ინსინერატორის** ქვედა კამერა აღჭურვილია **5**, ხოლო ზედა კამერა **4** სანთურით, ხოლო **მეორე (II) ინსინერატორი** გარედან დაფარულია ლითონის ფირფიტებით, მისი ქვედა კამერა აღჭურვილია **ერთი საწვავის და ერთი ჰაერის სანთურით**. ასევე, განსხვავებულია ინსინერატორების სარკმლის კარების რაოდენობაც (გზმ შესაბამისად ინსინერატორს გააჩნია სარკმლის 1 კარები);

1.2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, ინსინერატორები არ არის აღჭურვილი წყლის დასაცლელი ონკანით, წყლით გაგრილების სისტემის გარსაცმით, წყლის გაგრილების სისტემაში წყლის შემშვები ონკანით;

1.3. ინსინერატორის შენობის გარეთ არსებული ნამწვი აირების გამწმენდი სისტემა არ არის მოწყობილი და კომპანია ნამწვი აირების გაწმენდას არ ახდენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული სქემის შესაბამისად. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, დესტრუქციის ბლოკის პირველ კამერაში წვის მაღალი ტემპერატურის მისაღწევად, ხდება **ელექტროლიზურიდან** მიღებული ჟანგბადით გამდიდრებული ჰაერის მიწოდება. აბსორბციის ბლოკი შედგება **წყობილებიანი აბსორბერის**, ცირკულაციური ტუმბოს და კალორიფერისაგან. წყობილი შედგენილია რაშიგის კერამიკული რგოლებისაგან ზომით 50*50*2.5. აბსორბერში ხსნარის PH-ის კონტროლი

ხორციელდება **ავტომატური მზომით**. გზმ ანგარიშის შესაბამისად, ტექნოლოგიურ პროცესში ასევე გათვალისწინებულია ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი სითბოს გამოყენების შესაძლებლობა. ამ მიზნით, აბსორბერის წყლის ცირკულაციურ სისტემაში ჩართულია კალორიფერი, რომელიც ართმეულ სითბოს გადასცემს ჰაერს, ან სითბოს მომხმარებელი ობიექტის გათბობის სისტემაში ცირკულირებად წყალს. გაწმენდის სისტემის მეორე საფეხურია ფიზიკური ადსორბცია, სადაც ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებულია ორი ადსორბერი.

ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ ელექტროლიზური არ არის დამონტაჟებული ორსაფეხურიან გამწმენდ სისტემაში. შესაბამისად, ინსინერატორიდან დესტრუქციის ბლოკში გადასული ნამწვი აირები, გზმ ანგარიშში მოცემული სქემის შესაბამისი პროცესების გავლის გარეშე, მიეწოდება აბსორბციის 2 ბლოკს, რომელშიც არ არის წყობილებიანი მოცულობა. ასევე დადგინდა, რომ აბსორბერში (სკრუბერში) ხსნარის კონტროლი (ტუტის კონცენტრაციის გაზომვა) არ ხდება ავტომატური მზომით და იზომება ქიმიურად. ასევე, დადგინდა, რომ ორი ადსორბციის ბლოკის ნაცვლად მოწყობილია ერთი ცალი ადსორბენტი. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ცირკულაციულ სისტემაში მოწყობილია ორი ცალი კალორიფერი, თუმცა, იგი არ გამოიყენება ნამწვი აირების გაწმენდის პროცესში;

1.4. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული, 2017-2022 წლების ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესაბამისად, **თითოეულ ინსინერატორზე** არ არის მოწყობილი ორსაფეხურიანი გამწმენდი სისტემა. საწარმოში დამონტაჟებულია **ერთი ცალი** ორსაფეხურიანი ნამწვი აირების გამწმენდი სისტემა, რომელშიც დაერთებულია **საწარმოს ორივე ინსინერატორი;**

1.5. ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში - (wms.mepa.gov.ge) კომპანიის მიერ, 2022 წელს წარმოდგენილი აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმაში მოყვანილი მონაცემები არ შეესაბამება ადგილზე განთავსებული ნაცრის ფაქტობრივ რაოდენობას. ამასთან, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ასევე კომპანიის 2023-2025 წლების პერიოდზე შემუშავებულ ნარჩენების მართვის გეგმაში მოყვანილი მონაცემები ნაცრის რაოდენობების თაობაზე და კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ნაცრის რაოდენობების თაობაზე განსხვავებულია. კერძოდ:

კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2022 წლიდან 2023 წლის პირველ ივნისამდე საწარმოში ადგილი ჰქონდა დაახლოებით **16 ტონა** ნაცრის წარმოქმნას (ნარჩენის კოდი: 190111*). ასევე, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ტერიტორიაზე განთავსებულია **70 ტონა ნაცარი**. აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმით დგინდება, რომ საწარმოში 2021 წელს წარმოიქმნა 1.5402 ტონა (კოდი: 190111*) და 3.7316 ტონა (კოდი: 190112) როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენი. ამასთან, საწარმოში წინა წელს დროებით დასაწყობებული იქნა 2.99 ტონა (კოდი: 190111*) და 3.155 ტონა (კოდი: 190112) ნაცარი. შესაბამისად, 2021 წელს საწარმოში იყო **11.4068 ტონა ნაცარი**. ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №21-11/58978 წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიერ, 2022 წელს

საწარმოში განადგურდა 514 797.9 კგ (514.7979 ტონა) ნარჩენი და შესაბამისად, წარმოიქმნა დაახლოებით 10.29 ტონა ნაცარი. ამასთან, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს კანონმდებლობის შესაბამისად, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში არ განუხორციელებია აღრიცხვა-ანგარიშგება საწარმოში 2022 წელს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ კომპანია არ ახორციელებს საწარმოში ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის (სახიფათო ნარჩენის) მართვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

1.6. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ახორციელებს ისეთი ნარჩენების მიღება-განადგურებას, რომელიც არ არის განხილული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №2-714 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნა);

1.7. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2023 წლის 20 ივლისის №21-11/58978 წერილის შესაბამისად, შპს "მედიკალ ტექნოლოგი"-ს მიერ მიღებული/გამოწერილი ელექტრონული ზედნადებების, ელექტრონული ანგ/ფაქტურებისა და ელ.სპეც ანგ/ფაქტურებით დგინდება, რომ კომპანიის მიერ სხვადასხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (AA-384-QQ; CC-277-TT; GG-479-OG; PE-675-EP; QY-391-YQ; QY-392-YQ; RR-554-SS; SS-445-SU; TZ-128-TT; UU-807-RR; WW-073-EE; GE0-064; QQ-337-RQ; PR-727-RP; YY-574-AA) განხორციელდა ნარჩენების გადაზიდვა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს "მედიკალ ტექნოლოგი"-ს კუთვნილ საწარმოში. ზემოაღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, საქმიანობის რეგისტრაცია არ ფიქსირდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);

1.8. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოში ნარჩენების მართვა არ ხორციელდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. საკადასტრო კოდით 81.10.17.941 განსაზღვრულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს საკუთრებას (GPS კოორდინატებით: 1.X-502104, Y-4621193; 2.X-502107, Y-4621163; 3.X-502089, Y-4621136) დაფიქსირდა საბურავების, პლასტმასის კონტეინერების, მედიკამენტების დაყრის ფაქტი. ასევე, ტერიტორიაზე დაყრილი იყო „wolt“-ის მწყობრიდან გამოსული ჩანთების ნარჩენები;

1.9. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი ავტოსამრეცხაო, სადაც მოხდება სამედიცინო ნარჩენების შემომტანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავების გარეცხვა და დამუშავება სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით;

1.10. შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მომსახურე პერსონალის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის საკითხებზე ჩატარებული ტრენინგების და ტესტირების, ასევე გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.11. შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ არ აწარმოებს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციას (პად ფორმები) და „მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვის ფორმას“ კანონმდებლობით დადგენილი წესით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში **მოცემულია განსხვავებული რაოდენობა** განადგურებული ნარჩენების და მოხმარებული ბუნებრივი აირის შესახებ. ამასთან, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა არასწორი ინფორმაცია 2022 წელს საწარმოში განადგურებული ნარჩენების თაობაზე. დოკუმენტაციის კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ განადგურდა **724.95 ტონა** ნარჩენი, ხოლო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით განადგურდა **517.716376 ტონა** ნარჩენი;

1.12. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული მონიტორინგის გეგმის პერიოდულობის და სტრატეგიის შესაბამისად, კომპანიას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული მონიტორინგის გეგმა, პასუხისმგებელი პირის მითითებით;

1.13. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, კომპანია არ ახორციელებს ყოველკვარტალურ ინსტრუმენტულ მონიტორინგს გაფრქვევის სტაციონარული წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების (ჭვარტლი, აზოტის ორჟანგი, ნახშირჟანგი, გოგირდის ორჟანგი, მარილმჟავა, ვერცხლისწყალი, გოგირდმჟავა) შემცველობის შესახებ და ასევე ყოველწლიურად არ აწარმოებს ხმაურის მონიტორინგს;

1.14. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიაზე არ არის მოწყობილი საკანალიზაციო სისტემა, სადაც მოხდებოდა ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შეგროვება;

1.15. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად, მიწისქვეშა რეზერვუარში დაგროვილი წყლები, ლაბორატორიული კონტროლის შემდეგ თუ მისი მაჩვენებლები აკმაყოფილებენ ნორმებს ჩაშვებული იქნება რუსთავი-გარდაბნის საკანალიზაციო ქსელში. ინსპექტირების პროცესში კომპანიის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი მიწისქვეშა რეზერვუარში (რეზერვუარის მოცულობა - 15მ³) შეკრებილი დაბინძურებული სანიაღვრე წყლის ლაბორატორიული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე, ვერ იქნა წარმოდგენილი რეზერვუარში დაგროვილი ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურებული წყლების გატანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

1.16. ინსპექტირებით დადგინდა, რომ საწარმოო მიზნებისათვის განკუთვნილი წყლის

დასაგროვებელი რეზერვუარები არ არის მოწყობილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად. გზშ ანგარიშის შესაბამისად, აღნიშნული რეზერვუარები განთავსებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიის შიგნით, როგორც მითითებულია გენ-გეგმაზე. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს ტერიტორიის გარეთ (GPS კოორდინატები: 1. X-502111, Y-4621293; 2. X-502103, Y-4621291; 3. X-502113, Y-4621282; 4. X-502106, Y-4621276), წყლის ორი რეზერვუარი (თითოეული რეზერვუარის მოცულობა შეადგენს 15 მ³-ს), მოეწყო 2019 წელს. ასევე დადგინდა, რომ ზემოთაღნიშნული კოორდინატებით განსაზღვრული ტერიტორია (ს/კ 81.10.17.861) სახელმწიფო საკუთრებაა, ხოლო დანიშნულება სასოფლო-სამეურნეო (სამოვარი). შესაბამისად, დადგინდა, რომ ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის არამიზნობრივი გამოყენება;

2. 2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის მე-3 პირობის შესაბამისად, კომპანიამ არ უზრუნველყო „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება. კერძოდ:

2.1. ინსპექტირების პროცესში ჩატარებული გაზომვებით დადგინდა, რომ ატმოსფერულ ჰაერში ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების - ნაჯერი ნახშირწყალბადების (C₁₂-C₁₄) (2754) გაფრქვევას, რომლისთვისაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემულ გ-1 და გ-2 გაფრქვევის წყაროზე არ არის დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზდკ). ასევე დადგინდა, რომ CO-ს კონცენტრაციამ 6-ჯერ გადააჭარბა გზშ ანგარიშში მოცემულ ნორმას;

2.2. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოში არსებული გაფრქვევის წყაროთა რაოდენობა არ შეესაბამება გზშ ანგარიშში მოცემულ რაოდენობას. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ორი ორგანიზებული - გ-1 და გ-2 წყაროს (თითოეული მილის სიმაღლე შეადგენს 10 მეტრს) ნაცვლად, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა ხდება ერთი - 22 მეტრი სიმაღლის მილის საშუალებით;

2.3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 16 ივნისის №21/4644 წერილის შესაბამისად, შპს „მედიკალ ტექნოლოგის“ არ აქვს მოქმედი და შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

3. 2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის მე-4 პირობის შესაბამისად, საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის სახიფათოობის დადგენის მიზნით,

კომპანია არ უზრუნველყოფს მისი შემადგენლობის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, მის შემდგომი მართვას. კომპანიის მიერ წარმოდგენილია შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“-ს საგამოცდო ლაბორატორიის მიერ, 2023 წლის 9 ივნისის ინსინერაციის პროცესში წარმოქმნილი ფერფლის ლაბორატორიული კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ჩატარებული ქიმიური ანალიზის შედეგებით იკვეთება სპილენძის (Cu) 3-ჯერადი, თუთიის (Zn) 16-ჯერადი, ქრომის (Cr) 1.5-ჯერადი, ტყვიის (Pb) 4.3-ჯერადი და კადმიუმის (Cd) (<2 მგ/კგ) ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან გადაჭარბების ფაქტი;

4. ინსპექტირების დროს ასევე დადგინდა, რომ ნარჩენების გადამუშავების მიზნით, შენობაში განთავსებულია ნარჩენების მიმღები ღია ბუნკერი და სამი ლენტური ტრანსპორტიორი, ასევე სეპარირებული ნარჩენისათვის განკუთვნილი წისქვილი, რომელიც აღჭურვილია ერთი ცალი ლენტური ტრანსპორტიორით. შენობაში, დანადგარის თავზე დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა, ხოლო დანადგარები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. შენობაში ასევე განთავსებულია ლითონის ღუმელი. ტერიტორია მობეტონებულია და გააჩნია სანიაღვრე სისტემა, რომელიც დაფარულია ლითონის ცხაურით. დანადგარების მიმდებარედ მოწყობილია სამი მცირე ზომის ოთახი, სადაც უნდა განთავსდეს მართვის პულტი. შენობის გარეთა მხრიდან განთავსებულია 4 ერთეული წყლის რეზერვუარი (2 ვერტიკალური წითელი ფერის რეზერვუარი და 2 ჰორიზონტალური ლურჯი ფერის რეზერვუარი), აღნიშნული რეზერვუარები შიდა სისტემასთან არ არის დაერთებული. აღნიშნული რეზერვუარები გამოყენებული იქნება წყლის დაგროვების მიზნით. აღნიშნული დანადგარებით კომპანია გეგმავს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავებას (ნახშირბადშემცველი ნარჩენები ელასტომერული ნარჩენები, პლასტმასის და სხვა), კერძოდ, სეპარირებას, დაქუცმაცებას, დაპრესვას და ავტოკლავირებას.

ზემოაღნიშნული დანადგარები არ არის განხილული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, ამასთან, კომპანიას არ მიუძღრთავს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთვის ნარჩენების გადამუშავების ახალი ხაზის მოწყობის თაობაზე და არ აქვს მიღებული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული გადაწყვეტილება. შესაბამისად, დადგინდა, რომ კომპანია საქმიანობას ახორციელებდა შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 6 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის, 51²-ე და 53²-ე მუხლების, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №081225 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 8 ნოემბრის № 4/603-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით და მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტით, 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით, 51²-ე და 53²-ე მუხლებით და ნარჩენების მართვის კოდექსის 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში

2024 წლის 16 ოქტომბრის №003944 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა - 15 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნული დადგენილება, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიერ, გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2024 წლის 24 იანვრის №4/ა-1674-23 დადგენილებით, არ დააკმაყოფილა კომპანიის საჩივარი და უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2023 წლის 8 ნოემბრის №4/603-23 დადგენილება. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს მიმართ შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 16 ოქტომბრის №003944 ადმინისტრაციული მიწერილობა.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფში განთავსებული, შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს (ს/კ 404384590) კუთვნილი, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 26 ივლისის №2-714 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (2015 წლის 29 დეკემბრის №74 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად შპს „მედიკალ ტექნოლოგი“ ვალდებულია:

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მონიტორინგის გეგმის და შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად (2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის პირველი პირობა), მათ შორის:
 - 1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს, ინსინერატორის შენობის გარეთ არსებული ნამწვი აირების გამწმენდი სისტემის მოწყობა და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს ნამწვი აირების გაწმენდა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული სქემის შესაბამისად;
 - 1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში უზრუნველყოს, თითოეულ ინსინერატორზე ორსაფეხურიანი გამწმენდი სისტემის მოწყობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.3 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად უზრუნველყოს (სახიფათო და არასახიფათო) ნარჩენების მართვა (მათ შორის ინსინერაციის შედეგად წარმოქმნილი ნაცრის მართვა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
 - 1.4 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს, კომპანიის საკუთრებაში არსებულ საკადასტრო კოდით 81.10.17.941 განსაზღვრულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები: 1.X-502104, Y-4621193; 2.X-502107, Y-4621163; 3.X-502089, Y-4621136) დაყრილი საბურავების, პლასტმასის კონტეინერების, მედიკამენტების და „wolf“-ის მწყობრიდან გამოსული ჩანთების ნარჩენებისგან გაწმენდა, ხოლო მათი შემდგომი მართვა განახორციელოს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების, ასევე სამინისტროსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
 - 1.5 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, არ განახორციელოს ისეთი ნარჩენების მიღება-განადგურება, რომელიც არ არის განხილული გარემოზე



2024 წლის 16 ოქტომბრის №003944 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

- ზემოქმედების შეფასების ანგარიშში და აღნიშნული ნარჩენების ინსინერაციაზე არ არის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;
- 1.6 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს ავტოსამრეცხაოს მოწყობა, სადაც მოხდება სამედიცინო ნარჩენების შემომტანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საბურავების გარეცხვა და დამუშავება სპეციალური სადეზინფექციო საშუალებებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.7 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** ჩაატაროს, ხოლო შემდგომ **პერიოდულად** უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის სწავლება/ტრენინგები და ტესტირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.8 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული მონიტორინგის გეგმის პერიოდულობის და სტრატეგიის შესაბამისად, შეიმუშაოს და დაამტკიცოს მონიტორინგის გეგმა, პასუხისმგებელი პირის მითითებით;
 - 1.9 არაუგვიანეს **2024 წლის 31 დეკემბრამდე** ჩაატაროს, ხოლო შემდგომ **ყოველკვარტალურად** უზრუნველყოს, გაფრქვევის სტაციონარული წყაროებიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების (ჭვარტლი, აზოტის ორჟანგი, ნახშირორჟანგი, გოგირდის ორჟანგი, მარილმჟავა, ვერცხლისწყალი, გოგირდმჟავა) შემცველობის **ინსტრუმენტული მონიტორინგი**, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.10 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე** ჩაატაროს, ხოლო შემდგომ **ყოველწლიურად (წელიწადში ერთხელ)** უზრუნველყოს, ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.11 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, სადაც მოხდება ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების შეგროვება;
 - 1.12 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, მიწისქვეშა რეზერვუარში დაგროვილი წყლების ლაბორატორიული კონტროლი და მართვა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
 - 1.13 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოო მიწნებისათვის განკუთვნილი წყლის დასაგროვებელი რეზერვუარების მოწყობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;
2. გზმ სფეროში გაცემულ შესაბამის აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების განხორციელებამდე, ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში**, ინსპექტირების პროცესში დაფიქსირებული ცვლილებებისა და **საწარმოში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით შეიმუშაოს** და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარადგინოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა

2024 წლის 16 ოქტომბრის №003944 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“, ხოლო შეთანხმების შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს, „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება. (2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის მე-3 პირობა);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს, საწარმოში წარმოქმნილი ნაცრის სახიფათოობის დადგენის მიზნით, მისი შემადგენლობის მონიტორინგი და მისი შემდგომი მართვა **მუდმივად** განახორციელოს მონიტორინგი შედეგების შესაბამისად (2015 წლის 29 დეკემბრის ეკოლოგიური ექსპერტიზის №74 დასკვნის მე-4 პირობა);

4. ვინაიდან, ინსპექტირების შედეგად ასევე გამოვლინდა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ასევე, ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის პირველი პუნქტის 1.1, 1.2, 1.3, 1.4, ქვეპუნქტები და მე-4 პუნქტი), შპს „**მედიკალ ტექნოლოგი**“ ვალდებულია ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** მიმართოს, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს სკრინინგის განცხადებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.